ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

---

ოქმი:ო97. 97243652

თარიღი:30/12/2024

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ბიუროს სხდომის**

**ოქმი N-09**

**დ. ლენტეხი. 25 დეკემბერი/2024წ.**

**მიმდინარე წლის 25 დეკემბერს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს ბიუროს 10 (ათი ) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა ბიუროს 8(რვა) წევრი.**

**ბიუროს სხდომას ესწრებოდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარტის ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.**

**ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მ საკრებულოს კომისიების მიერ მომზადებულია საკრებულოს მორიგი სხდომაზე განსახილველი საკითხები და უნდა დამტკიცდეს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი.**

**ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. **2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ.**

**/მომხს:** მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი/

**2. 2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ.**

**/მომხს:** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მევლუდ ლიპარტელიანი/

**3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ**

**/მომხს:** ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი. **თანამომხსენებელი:** ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა:

დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -10

წინააღმდეგი -0

**გადაწყვიტეს :** დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა დასრულდა 13 საათზე.**

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი